community

The New Apostolic Church around the world

03/2020GE

გაბედულებაა საჭირო! საქმე გაგრძელდება

რედაქციისგა:
ვიყოთ ბედნიერნი იესოს მიმდევრობაში

ღვთისმსახურება:
დიად საქმეს გვიკეთებს უფალი

მოძღვრება:
ვიმოქმედოთ წმიდა წერილის პარალელურად

New Apostolic Church
International

რედაქციისგან

3 ვიყოთ ბედნიერნი იესოს მიმდევრობაში

ღვთისმსახურება

4 დიად საქმეს გვიკეთებს უფალი!

საბავშვო კუთხე

10 საგანძურის მცველი ეთიოპიიდან

12 სტუმრად ანიასთან სანკტ-პეტერბურგში (რუსეთი)

დოქტრინა

14 ვიმოქმედოთ წმიდა წერილის პარალელურად

Global News

18 გაბედულებაა საჭირო და საქმე გაგრძელდება

■ ოლივერ რიუტენი: Frank Schuldt
■ კიიფ სეტიობუდი: Frank Schuldt

ნდობა ჭირსა და ლხინში!

ფოტო: საერთაშორისო ახსე

საყვარელო ერთმორწმუნე და-ძმანო,

საგანგებო სიტუაციებში, როცა თითქოსდა გადაუჭრელი პრობლემების წინაშე ვდგებით, ძლევამოსილ ღმერთს ვუხმობთ ხოლმე. „უფალო შემეწიე!“ - ასე ჟღერს ლოცვა, როცა უიმედო მდგომარეობაში ვიმყოფებით.

მახსენდება ერთი ბიბლიური ციტატა, რომელიც საკმაოდ დამაჯერებელია: „უფალი იბრძოლებს თქვენთვის, თქვენ მშვიდად იყავით“, ნათქვამია გამ. 14, 14-ში. მაშინ ლაპარაკი იყო შემოვლით გზაზე, რომელიც ისრაელის ხალხს უდაბნოში უნდა გაევლო: მათ წინ თითქმის გადაულახავი დაბრკოლებები იყო, უკან კი - განრისხებული ფარაონის ჯარი. ისრაელიანები პანიკაში ჩავარდნენ და ღმერთს შეჰღაღადეს. მოსემ უთხრა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ: „მიენდეთ ღმერთს, იყავით მშვიდად! ის ჩვენს მხარეს არის და არაფერი მოგვივა.“ და როგორც ისტორიიდან ვიცით, უფალი, მართლაც, მოულოდნელად და ეფექტურად ჩაერია და იხსნა თავისი ხალხი.

ჩვენც შეიძლება რთულ ვითარებაში აღმოვჩნდეთ. ამ დროს სულიწმიდა მოგვიწოდებს, რომ პანიკაში არ ჩავვარდეთ და ღმერთს არ დავაბრალოთ ჩვენი უბედურება. სამაგიეროდ გვახსენებს, რომ ღმერთი გადაგვარჩენს: მალე იგი უპრეცენდენტო გზით გამოგვისყიდის, მოავლენს რა მის ძეს, რამეთუ თავისთან წაგვიყვანოს. იესო მოციქულებთან ერთად ზრუნავს იმაზე, რომ მისი სასძლო მომზადებული შეხვდეს მის მეორედ მოსვლას. ამიტომაც გვაძლევენ ისინი იმის საშუალებას, რომ განსაცდელის დროს სიმშვიდე შევინარჩუნოთ, მივენდოთ ღმერთს და ჩვენი ზეატაცების დიდებული ჟამისათვის ლოცვით მოვემზადოთ.

ისეთი პერიოდებიც გვიდგება, როცა კარგად ვგრძნობთ თავს. მაშინ ღმერთის წინაშე ვდგებით და ვაქებთ და ვადიდებთ მას, ვინაიდან ვიცით, რომ სიკეთეს მას უნდა ვუმადლოდეთ. ჩვენ ვტკბებით იმ სიხარულითა და ბედნიერებით, რომელსაც ღმერთი გვანიჭებს. მოდით, ჩვენი ცხოვრების ასეთ მშვენიერ წუთებშიც ლოცვით მოვემზადოთ ქრისტეს მეორედ მოსვლისათვის და არ დავივიწყოთ, რომ ღმერთს კიდევ უფრო მშვენიერი რამის მოცემა სურს ჩვენთვის: მასთან საუკუნო თანაზიარების!

ჟან-ლუკ შნაიდერი

დიად საქმეს გვიკეთებს უფალი!

2019 წლის ოქტომბერში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ვიზიტის დროს პირველმოციქულმა შნაიდერმა სამი ღვთისმსახურება ჩაატარა და რამოდენიმე კრებას უხელმძღვანელა. 2019 წლის 27 ოქტომბერს ერთმორწმუნე და-ძმებისათვის კუალა-ლუმპურში (მალაიზია) იმსახურა.

ფოტო: სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ახსე

ფსალმ. 125, 3. 4

„დიადი საქმე მოიმოქმედა უფალმა ჩვენთან, გავმხიარულდით. დააბრუნე, უფალო, ჩვენი ტყვეები, ვით ნაკადები ურწყავ ადგილზე.“

საყვარელო ძმებო და დებო, დიდად მადლობელი ვარ მამაზეციერისა იმის გამო, რომ თქვენთან ყოფნის შესაძლებლობა მომეცა. ეს იმის გაცნობიერებაში მეხმარება, თუ რაოდენ მდიდარი ვარ, ვინაიდან აქ, მალაიზიაშიც, ამდენი მორწმუნე და-ძმა მყავს.

დღევანდელი დღე თქვენდამი ჩემი მადლიერებისა და პატივისცემის გამოხატვის საშუალებას მაძლევს. ჩემში ღრმა პატივისცემას იწვევს ის, რომ ზოგჯერ საკმაოდ მძიმე პირობებშიც კი თქვენი რწმენისამებრ ცხოვრობთ. ჩემში ღრმა პატივისცემას იწვევს ასევე თქვენი მსახურება, თქვენი მსხვერპლი და უფლისადმი თქვენი სიყვარული. ეს უბრალო თავაზიანობა კი არ არის, არამედ მართლა ასე ვფიქრობ. ჩემთვის ყოველთვის სასიამოვნოა ძმებთან და დებთან შეხვედრა, რამეთუ ბევრს ვსწავლობ მათგან. გმადლობთ, რომ ასეთები ხართ! ჩვენ ახლა მოვისმინეთ ციტატა 125-ე ფსალმუნიდან, რომელიც

ცნობილ ფსალმუნებს მიეკუთვნება, თუმცა იგი სხვადასხვაგვარად არის ნათარგმნი. ინგლისურ და ფრანგულ ვერსიებში აშკარად ჩანს, რომ მეფსალმუნე ბაბილონის ტყვეობიდან გათავისუფლებაზე ლაპარაკობს. გერმანულ ტექსტში კი მომავალზეა საუბარი. თუმცა შინაარსობრივად ერთი და იგივე იგულისხმება: მოცემული სიტყვები გადასახლების პერიოდს ეხება. მრავალი წლის განმავლობაში იუდეველები ბაბილონის ტყვეობაში ცხოვრობდნენ, ვიდრე ღმერთმა არ გაათვისუფლა ისინი და ისევ იერუსალიმში არ დააბრუნა.

თავიდან მხოლოდ ხალხის ერთი ნაწილი დაბრუნდა იერუსალიმში. რა თქმა უნდა, ბედნიერები იყვნენ და ადიდებდნენ ღმერთს, რომელმაც „დიადი საქმე მოიმოქმედა მათთან“ და მტრებისგან იხსნა ისინი. ეს ამბავი მეზობელმა ხალხებმაც შეიტყვეს და თქვეს: „დიადი საქმე მოიმოქმედა უფალმა მათთან“ (ფსალმ. 125, 2). ასეთია ისტორია.

მაგრამ ახლა, მოდით, ჩვენს თავს და ჩვენს დროს მივუბრუნდეთ. ჩვენც გვაქვს ამის თქმის საფუძველი: „დიადი საქმე მოიმოქმედა უფალმა ჩვენთან!“ დიადი საქმე მან ჩვენთვის იესო ქრისტეს მეშვეობით მოიმოქმედა. ღვთის ძემ დატოვა ზეციური დიდება და დედამიწაზე ჩამოვიდა. მან საკუთარ თავზე იტვირთა განკაცება და ადამიანთა შორის კაცებრივად ცხოვრება. სძლია სიკვდილს, რასაც სხვა ვერავინ მოიმოქმედებდა, და ბოროტისგან გამოგვისყიდა. ეს უბადლო გამარჯვებაა! ამის მიღწევას სხვა ვერავინ შეძლებდა. ამის შემძლე მხოლოდ ის იყო. ბოროტს მან ჩვენთვის სძლია. მისთვის ეს არ იყო საჭირო, მან ეს ჩვენთვის გააკეთა. სიცოცხლე ჩვენთვის გაიღო მსხვერპლად. ეს არის სიყვარულის უდიდესი მტკიცებულება, რისი წარმოდგენაც კი შეგვიძლია. იესომ თქვა: „იმაზე დიდი სიყვარული არავის აქვს, როცა ვინმე თავს სწირავს თავისი მეგობრებისათვის“ (იოან. 15, 13. 14).

ღმერთი ყოველ ღვთისმსახურებაზე დიად საქმეს გვიკეთებს: ის ცოდვებს მოგვიტევებს.

„დიადი საქმე მოიმოქმედა უფალმა ჩვენთან!“ მან დაარსა ეკლესია და მოციქულები დააგზავნა. ეს არის საქმე ყველა ადამიანის სასიკეთოდ. თუ საკუთარ თავს აქ, სამყაროს ამ ნაწილში, შევხედავთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ უფალმა იზრუნა იმაზე, რომ საუკუნეების წინ ქრისტიანულ რწმენას ამ კონტინენტზეც მოეკიდა ფეხი. ცხადია, ეს თქვენ ჩემზე უკეთ იცით. ეს იყო დიადი საქმე, რომელიც ღმერთმა მოიმოქმედა! მან იზრუნა, რომ რწმენას დღემდე მოეღწია. ჩემთვის ეს სასწაულია! ღმერთმა დიადი საქმე მოიმოქმედა ისე, რომ დღეს ამ ქვეყანაში ქრისტიანები შეგვიძლია ვიყოთ. მოგვიანებით მოციქულებიც მოავლინა. ასე

გავხდით ღვთის შვილები და ახალსამოციქულო ქრისტიანები. „დიადი საქმე მოიმოქმედა უფალმა ჩვენთან!“ გაიხსენეთ რამდენი რამ გაგვიკეთა მან ცხოვრებაში. რამდენჯერ დაგვხმარებია ყოფაში და ამის თქმის შესაძლებლობა მოუცია: „ეს უფალმა მოიმოქმედა. ის ჩაერია ჩემს ცხოვრებაში და პრობლემები გადამიჭრა.“ ჭეშმარიტად, „დიადი საქმე მოიმოქმედა უფალმა ჩვენთან!“

წყლისა და სულისგან ხელახლა შობით თავისი სიცოცხლე გვიწყალობა მან. ეს დიდი სასწაულია!

ყოველ ღვთისმსახურებაზე დიდ საქმეს გვიკეთებს იგი. მოგვიტევებს ცოდვებს. ეს არც ერთ ადამიანს არ ძალუძს. ის ჩვენს დანაშაულს გამოისყიდის. არც ეს ძალუძს ვინმეს, ეს მხოლოდ მას ხელეწიფება. მას შეუძლია გვითხრას: „შენი დანაშაული გამოსყიდულია. ის აღარ არსებობს.“ ის დიად საქმეს გვიკეთებს.

ის გვცვლის. იესო ქრისტეს ხატად გვაყალიბებს, რაც ღვთიური ცვლილების სასწაულია! ჩვენ, საწყალი ცოდვილები, არასრულყოფილი ადამიანები, თანდათან ვყალიბდებით იესო ქრისტეს ხატად. ღმერთი დიად საქმეს გვიკეთებს და ამას აკეთებს იგი დიდებულად. ამისათვის მას მთელი მისი ძალაუფლების გამოყენება შეეძლო, თუმცა ასე არ მოქმედებს. ის სიყვარულითა და მოთმინებით ქმნის. ის ძლიერ ცვლილებას ახდენს ჩვენს სულში და ყოველივე ამას სიყვარულით, მადლითა და მოთმინებით აკეთებს. მას სურს, რომ დიადი საქმე მოიმოქმედოს ჩვენთვის. მას სურს, ჩვენთან ერთად იზეიმოს ქორწილი ზეცაში. მას უნდა, რომ საუკუნო თანაზიარება ჰქონდეს ჩვენთან. მისი სურვილია, ჩვენთან ერთად აღმართოს მშვიდობის სასუფეველი დედამიწაზე, რამეთუ ყველა ადამიანს მიანიჭოს

არ დავივიწყოთ ის, რასაც ღმერთი გვიკეთებს და კიდევ გაგვიკეთებს! ვიყოთ მადლიერნი!

ხსნა აქაც, დედამიწაზე, და საიქიოშიც. მას სურს, ჩვენთან ერთად, სამეუფო სამღვდელოებასთან ერთად, იშრომოს ყველა ადამიანის გამოსასყიდად.

ნახეთ, რამხელა რამეს აკეთებს იგი ჩვენთვის და ჩვენთან ერთად! ეს ყოველივე დიადია, ვინაიდან ჩვენ ამის უნარი არ შეგვწევს. მხოლოდ ღმერთს ძალუძს ეს - დიადი საქმეები, რომლებიც ჩვენი წარმოდგენის ფარგლებს სცილდება, ასევე საიქიოსთან დაკავშირებული ჩვენი მოლოდინების ფარგლებსაც. იმის წარმოდგენაც კი არ შეგვიძლია, თუ რისი მოცემა სურს მას ჩვენთვის. და როგორ გავიხარებთ მერე! და ეს იმიტომ არის ასე დიდებული, რომ არ დაგვიმსახურებია და ვერც ვერავინ დაიმსახურებს მას.

არავის შესწევს იმის აღწერის უნარი, რასაც ღმერთი გვიკეთებს და რაც უკვე გაგვიკეთა. ეს კი პრობლემას წარმოადგენს დღევანდელი ადამიანებისათვის. იმდენი რამით ვართ დაკავებულნი, რომ არსებობს იმის საფრთხე, ვეღარ აღვიქვათ ის დიადი, რასაც ღმერთი გვიკეთებს.

ნება მიბოძთ, ასე გამოვხატო ეს: ისე გაგვაბა ეშმაკმა საქმეებში, რომ საერთოდ აღარ ვფიქრობთ იმ დიადზე, რასაც ღმერთი გვიკეთებს. იმდენ რამეზე უნდა ვიფიქროთ, იმდენი რამე უნდა მოვაგვაროთ, იმდენი ინფორმაცია უნდა გავცეთ, იმდენი რამ უნდა წავიკითხოთ ...

მგონი, გესმით, რასაც ვგულისხმობ. ეს საფრთხეს წარმოადგენს! გვავიწყდება ის, რაც ღმერთმა გაგვიკეთა და შედეგად სიხარული აღარ გვაქვს. წუწუნსაც კი ვიწყებთ. აღარ ვართ ბედნიერები და ისრაელის ხალხივით ვგრძნობთ თავს.

ისრაელიანები ეგვიპტეში მონები იყვნენ და ღმერთმა იხსნა ისინი ამ მონობისგან. მან შუაზე გაყო ზღვა და ასე შეუწყო მათ ხელი გათავისუფლებაში. დაუჯერებლად ჟღერს, მაგრამ სიმართლეა.

სულ რამოდენიმე დღე დასჭირდა იმას, რომ დაევიწყებინათ მათ ეს ყოველივე და დრტვინვა დაეწყოთ: „წყალი მწარეა! ეგვიპტეში საკმარისი საჭმელი გვქონდა, აქ კი არაფერია!“ სულ რამოდენიმე დღე იყო გასული მას მერე, რაც მონობიდან გათავისუფლდნენ, და უკვე ჩივილსა და წუწუნს მოჰყვნენ.

ნუ იტყვით ახლა: „ო, ეს ისრაელის ხალხი, პირდაპირ შეუძლებელია!“, ვინაიდან ჩვენც ზუსტად იგივეს ვაკეთებთ! - მორჩი ბუზღუნს! გაიხსენე ის დიადი, რაც ღმერთმა მოიმოქმედა შენთვის, იფიქრე იმაზე, რასაც იგი გიკეთებს და რასაც გაგიკეთებს! ვიყოთ მადლიერები და გახარებულნი!

ფსალმუნში ნათქვამია ის, რასაც ხალხები იტყვიან: „დიადი საქმე მოიმოქმედა უფალმა მათთან“ (ფსალმ. 125, 2).

რას ამბობენ ჩვენი მეზობლები ჩვენზე? ამას ხომ არა: „დიადი საქმე მოიმოქმედა უფალმა მათთან“? მე მგონი, ასეთი რამ იშვიათად გვესმის. უფრო ხშირად სულ სხვა ხმები მოგვდის: „აბა, სად არის შენი ღმერთი?“ ამგვარი სიმღერა მუდამ ისმოდა ისტორიაში. გაიხსენეთ ჯვარცმული იესო. ზუსტად იგივეს ისმენდა ისიც: „სხვებს იხსნიდა, საკუთარი თავის ხსნა კი არ შეუძლია. ქრისტე, მეფე ისრაელისა, ჩამოვიდეს ახლა ჯვრიდან, რომ ვიხილოთ და ვირწმუნოთ“ (მარკ. 15. 31, 32), და დასცინოდნენ მას. როცა მოკვდა, იქვე მდგომმა რომაელმა ასისთავმა თქვა: „ჭეშმარიტად ღვთის ძე იყო ეს კაცი!“ (მარკ. 15, 39). ამ კაცმა თავად იხილა, თუ როგორ მოკვდა იესო. დაინახა მისი რეაქცია და მისი სიტყვებიც გაიგონა. ამან კი იმაში დაარწმუნა, რომ ეს კაცი ნამდვილად ღვთის ძე იყო.

ძმებო და დებო, საკმაოდ ხშირად ღიად ან დაფარულად ვისმენთ ასეთ საყვედურს: „სად არის ახლა შენი ღმერთი?“ ნუ აყვებით ამგვარ განწყობას და იმედს ნუ გაიცრუებთ. გაიხსენეთ ის დიადი საქმე, რაც ღმერთმა გაგიკეთათ და კიდევ გაგიკეთებთ, უერთგულეთ მას! ყველა ჩვენთაგანს უდგება განსაცდელი, ცდუნება, გამოცდა, რაც გინდა ის დაარქვით, და ამ დროს ხალხი ამბობს: „სად არის ახლა ღმერთი? იტანჯები, მაგრამ ის არ გეხმარება, რთული პერიოდი გიდგას და, აბა, სად არის შენი ღმერთი?“ პასუხის გაცემა საჭირო არ არის. უერთგულეთ, მიენდეთ ღმერთს, გულში მშვიდობა შეინარჩუნეთ. როცა დაინახავენ ადამიანები, რომ ფარ-ხმალს არ ვყრით და ყველაფრის მიუხედავად ვენდობით ღმერთს, ვინარჩუნებთ მშვიდეობას გულში, რომ არავის ვაძლევთ საშუალებას, წაგვართვას იმის რწმენა, რომ ზეციერი მამა იზრუნებს ჩემზე და მე მის იმედად ვარ, რაღაც დროის მერე ისინიც მიხვდებიან ამას: „როგორც ჩანს, ღმერთმა დიადი საქმე მოიმოქმედა მათთვის; შეხედეთ, ყველაფრის მიუხედავად, რაც გადაიტანეს, რწმენაში ერთგულებას და ტანჯვის დროს სულიერ სიმშვიდეს ინარჩუნებენ.“

ეს თეორია არ არის. ეს ცხოვრებაა. არც თუ ისე იშვიათად გვესმის: „როგორც წესი, ასეთ მდგომარეობაში კაცი ვერ ინარჩუნებს სიმშვიდესა და იმედს, აშკარაა, ღმერთმა რაღაც განსაკუთრებული მოიმოქმედა მათთვის.“ განსაცდელის დროს სრულ ნდობასა და იმედს ვინარჩუნებთ, ვინაიდან ვიცით, რომ ღმერთმა დიადი საქმე გაგვიკეთა, გვიკეთებს და კიდევაც გაგვიკეთებს.

ძალ-ღონის დაუზოგავად ვემსახურებით ღმერთს, ვწირავთ მსხვერპლს, და მაინც იგივე გვესმის: „სად არის ახლა შენი ღმერთი? ეს არის შენი შრომის, შენი მსხვერპლის საფასური? ეს ყველაფერი ამაო იყო, სამაგიეროს ვერ მიიღებ, ამაოდ გაფლანგე შენი

სამხ. მოციქულის თანაშემწე დევიდ დევერაი (ინდოეთი)

სამხ. მოციქული პეტერ შულტე (წყნარი ოკეანის დასავლეთი)

ძალა.“

დაე, ილაპარაკონ, სულით ნუ დავეცემით! სულაც არ არის აუცილებელი, რომ პასუხი გავცეთ ამ კითხვას: „სად არის ახლა შენი ღმერთი?“ შევინარჩუნოთ ერთგულება. კვალვაც ვემსახუროთ ღმერთს, რამეთუ არანაირ საზღაურს არ მოველით სამაგიეროდ. მსხვერპლსაც იმიტომ კი არ ვიღებთ, რომ გავმდიდრდეთ, არამედ სიყვარულით ვემსახურებით ღმერთს. ჩვენ მსხვერპლს მადლიერების გამო ვწირავთ, იმისათვის, რაც უკვე მოგვცა მან.

ვერ ვხედავ იმის საფუძველს, რომ შევწყვიტო მსახურება და მსხვერპლის გაღება. მე მიყვარს ღმერთი, რამეთუ პირველად მან შემიყვარა. რაც არ უნდა მოხდეს, ყოველთვის მექნება იმის საფუძველი, რომ ვემსახურო და ერთგულად შევწირო მას მსხვერპლი.

„დიადი საქმე მოიმოქმედა უფალმა მათთან“ - ვინაიდან მათ არ დაუკარგავთ იმის მოტივაცია, რომ ემსახურონ და მსხვერპლი შესწირონ მას.

ადამიანები ჩვენს თემებსაც უყურებენ და ხედავენ - როგორც ჩვენ, სხვათა შორის, ვინაიდან თვალებს არ ვხუჭავთ, - რომ ისეთი რამეებიც ხდება, რაც წესით არ უნდა ხდებოდეს. ჩვენ ყველა არასრულყოფილი ადამიანები ვართ და მსგავსი შემთხვევებიც ამის შედეგია. და კვლავ გვესმის ასეთი ხმები: „სად არის ღმერთი? შეხედე, როგორ იქცევიან, მათ ხომ ღვთის შვილებად ყოფნა სურთ. ეს ხომ ბევრად უარესია, ვიდრე სადმე სხვაგან რომ ხდებოდეს ეს?! და ამის მერე ამბობენ, რომ ქრისტე მათ შორის არის - სასაცილოა!“

დაე,ილაპარაკონ.ჩვენშევინარჩუნებთერთგულებას, მივუტევებთ ერთმანეთს და ღმერთთან კავშირიც გვექნება. იესო ქრისტესგან მიღებული ძალით და მისი მადლის წყალობით დავძლევთ განსხვავებებს, მივუტევებთ ერთმანეთს, შევრიგდებით და ყველა სირთულეს გავუმკლავდებით, რაც კი თემში შეიძლება წარმოიშვას. გარკვეული დროის შემდეგ ადამიანები ასეთ დასკვნამდე მივლენ: „რაღაც განსაკუთრებულია ამ ერთობაში, სხვაგან საქმე ბევრად უფრო მწვავე ხასიათს მიიღებდა და ყველაფერი დაინგრეოდა. ისინი კი ინარჩუნებენ ერთობას და მიუტევებენ ერთმანეთს. საკმაოდ უჩვეულო რამ არის.“

საყვარელო და-ძმანო, ვერავის ვაიძულებთ, რომ ეს არ თქვან: „ახალა სად არის თქვენი ღმერთი?“ და ვინაიდან საკუთარ თავზე გამოვცადეთ ის, თუ რა დიადი საქმე მოიმოქმედა მან ჩვენთვის, მისი ერთგულნი ვრჩებით და რთულ ვითარებაშიც მის იმედად ვართ. ჩვენი მტკიცე გადაწყვეტილებაა: ვემსახუროთ უფალს, რამეთუ ვუყვარვართ მას და ჩვენც გვიყვარს იგი. რაც არ უნდა მოხდეს, მივუტევებთ ერთმანეთს და შევინარჩუნებთ ერთობას ქრისტეში. ეს იმის ნიშანია, რომ უფალი ჩვენთან არის.

ჩვენს ციტატაში შემდეგ ნათქვამია: „დააბრუნე, უფალო, ჩვენი ტყვეები, ვით ნაკადები ურწყავ ადგილზე.“ ბაბილონიდან იერუსალიმში დაბრუნებული იუდეველები არ ივიწყებდნენ იმათ, რომლებიც იქ დარჩნენ და ღმერთს სთხოვდნენ, რომ მათთვისაც მიეცა დაბრუნების საშუალება.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ დიადი საქმე მოიმოქმედა ღმერთმა ჩვენთვის. და გვინდა, რომ სხვებისთვისაც გააკეთოს იგივე. ჩვენ ასე არ ვფიქრობთ: „გამოსყიდვა და კურთხევა იმიტომ გვეწყალობა, რომ ჩვენ ეს დავიმსახურეთ.“ გვინდა, რომ ყველა სულს, იქნება ეს აქ თუ საიქიოში, წილად ხვდეს ის, რაც ჩვენ გვეწყალობა.

მომავალ კვირას ჩავატარებთ ღვთისმსახურებას განსვენებულთათვის. ჩვენ საიქიოში მყოფი სულებისთვისაც ვლოცულობთ: „უფალო, მათთვისაც მოიმოქმედე დიადი საქმე, როგორც ეს ჩვენთვის გააკეთე! დაე, მათაც იგრძნონ, თუ როგორი დიდი ხარ!“

ამ მუხლის სხვა თარგმანებში ნათქვამია: „შემოაბრუნე, უფალო, ჩვენი ბედი“, და ეს თარგმანიც სწორია.

იერუსალიმში ჩასულ იუდეველებს კარგად ესმოდათ, რომ მართალია, სამშობლოში იმყოფებოდნენ, მაგრამ კიდევ ბევრი რამ ჰქონდათ გასაკეთებელი და, რომ დიდი პრობლემების წინაშე იდგნენ. აქედან მოდის ეს ორჯერადი თხოვნაც: „ამასაც გთხოვთ, ღმერთო: ჩამოიყვანე დანარჩენებიც და შემოაბრუნე ჩვენი ბედი.“

ჩვენ კარგად გვესმის ის დიადი საქმეები, რომლებიც ღმერთმა ჩვენთვის მოიმოქმედა, მაგრამ ისიც ვიცით, რომ ჯერ კიდევ არ ვართ ბოლომდე გამოსყიდულნი. ამიტომაც შევთხოვთ უფალს: „უფალო, მოავლინე ძე შენი, გვიხსენ, შემოაბრუნე ჩვენი ბედი და მოგვეც უფლება, შევიდეთ შენს სასუფეველში“ - ეს არის ჩვენი მიზანი.

საყვარელო და-ძმანო, არ გამოგრჩეთ ლოცვა იმისათვის, რომ იესო ქრისტე ისევ მოვიდეს! ცხადია, ყველა ჩვენი სათხოვარი და სურვილი ლოცვაში შეგვიძლია მოვახსენოთ მამაზეციერს, თუმცა ჩვენი უდიდესი სურვილი ხომ საუკუნოდ უფალთან ყოფნაა. ეს უნდა იყოს უპირველესი თხოვნა ჩვენს ყოველდღიურ ლოცვებში.

ჩვენს ციტატაში ნათქვამია: „...ვით ნაკადები ურწყავ ადგილზე.“ ეს ისრაელის ჰავას უკავშირდება. იქ ცხელა და სიმშრალეა, უდაბნოში არანაირი წყალი არ არის. მაგრამ წვიმების დროს რამოდენიმე წუთში ნაკადულები და მდინარეები ჩნდება იქ, სადაც მანამდე მსგავსი არაფერი ყოფილა. ამ ფენომენზეა აქ მინიშნებული: იქ, სადაც მანამდე უდაბნო იყო, უბრალოდ არაფერი, ნაკადულები ჩნდება, სიცოცხლე იწყება.

მშვენიერი მაგალითია ქრისტეს მეორედ მოსვლისათვის. შეიძლება ითქვას, რომ მანამდე არაფერი გვინახავს, მაგრამ უმოკლეს დროში, თვალის დახამხამებაზე, ღმერთი ყველაფერს შეცვლის. ამჟამად ვხედავთ ეკლესიას, სადაც ადამიანური არასრულყოფილება სუფევს და სადაც ცოდვილები არიან. მაგრამ მოვა უფალი და ერთბაშად გამოჩნდება ქრისტეს სასძლო და ვიხილავთ ქრისტეს ეკლესიის დიდებას. ეს ის დიდი სასწაულია, რომელსაც ღმერთი ჩვენს შორის მოახდენს. ჯერ კიდევ სრულიად შეუძლებლად გვეჩვენება ეს.

როცა ბავშვებთან ერთად ვარ, ხშირად მეკითხებიან: „პირველმოციქულო, რა იქნება, როცა უფალი იესო მეორედ მოვა?“ შემდეგის თქმა მიწევს: „არ ვიცი და ვერ აგიხსნით ამას, მაგრამ მე ღმერთს ვენდობი. მისთვის შეუძლებელი არაფერია. არავის ძალუძს ამის ახსნა და გაგება, მაგრამ იგი გააკეთებს ამას. და მან გადაწყვიტა, რომ მეც მათ შორის ვიქნები და შენც. ყველა ჩვენთაგანი მიიღებს ამ მოვლენაში მონაწილეობას.

ღმერთმა დიადი საქმე მოიმოქმედა ჩვენთვის და ის დიად საქმეს გაუკეთებს ყველას, ვინც ბოლომდე ერთგული დარჩება, და ეს ჩვენ ვართ.

ძირითადი აზრები

ღმერთს მისი კეთილი საქმეებისათვის ვაქებთ და ვადიდებთ. მათზე მაშინ ვმოწმობთ, როცა განსაცდელის დროს ნდობას ვავლენთ ღვთის მიმართ, დაუღალავად ვემსახურებით მას და მტკიცედ ვდგავართ ძმურ სიყვარულში. ჩვენი სახვეწარი ღმერთის მიმართ არის ის, რომ იგივე სიკეთე უწყალობოს ჩვენს მოყვასსაც და თავის დიდებაში შეგვიყვანოს.

საგანძურის მცველი ეთიოპიიდან

საქმე 8, 26-40-ის მიხედვით

ფილიპე ერთ-ერთია იმ შვიდ დიაკვანთაგან, რომლებიც გაბერძნებულ ქვრივებზე მზრუნველობისათვის აირჩიეს. თუმცა იერუსალიმის თემს სდევნიდნენ და ისინიც მიმოიფანტნენ. ფილიპე სამარიაში წავიდა და იქაურ მაცხოვრებლებს იესოზე, ქრისტეზე, უყვებოდა.

ანგელოზი გამოეცხადა ფილიპეს და უთხრა: „ადექი და იმ გზით წადი, რომელიც იერუსალიმიდან ღაზაში ჩადის!“

ფილიპე გზას გაუდგა. რაღაც დროის შემდეგ შორს მომავალი ეტლი დაინახა. ეტლში მჯდომი კაცი შორიდან, ეთიოპიიდან, მოდიოდა. ის დიდებული იყო და ეთიოპიის დედოფლის, კანდაკეს, საგანძურს განაგებდა. საგანძურის მცველი იერისალიმის ტაძარში მოსალოცად იყო წასული და ახლა სახლში ბრუნდებოდა. იჯდა თავის ეტლში და წმიდა წერილს კითხულობდა.



ამ დროს სულიწმიდამ ფილიპეს უთხრა: „მიდი ეტლთან!“
ფილიპემ მიირბინა ეტლთან და გაიგონა, რომ ეს კაცი ესაია წინასწარმეტყველს კითხულობდა.
ფილიპემ ჰკითხა: „თუ გესმის, რასაც კითხულობ?“
საგანძურის მცველმა უპასუხა: „როგორ გავიგებ, თუ არავინ განმიმარტავს?“
მან ფილიპეს ეტლში ასვლა და მის გვერდით დაჯდომა სთხოვა.
ფილიპემ აუხსნა საგანძურის მცველს, რომ ესაია იესოზე ლაპარაკობდა და მოუყვა, თუ რა გააკეთა იესომ ადამიანებისათვის. ისიც გულდასმით უსმენდა.
განაგრძეს გზა და წყალს მიადგნენ. საგანძურის მცველმა წამოიძახა: „აჰა, წყალი. რა მაბრკოლებს, რომ მოვინათლო?“
მან ეტლი გააჩერებინა და ორივე წყალში ჩავიდა.
ფილიპემ მონათლა საგანძურის მცველი.
როცა წყლიდან ამოვიდნენ, ფილიპე უეცრად გაქრა.
სულიწმიდამ წარიტაცა იგი. საგანძურის მცველი კი გახარებული დაბრუნდა სახლში.



წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 02/20; ილუსტრაციები: მირელა ფორტუნატი

სტუმრად ანიასთან სანკტ-პეტერბურგში (რუსეთი)

მოგესალმებით! მე მქვია ანია და ვარ 14 წლის.

ეს ჩემი ოჯახია: მამაჩემს ალექსანდრე ჰქვია, დედაჩემს - ოქსანა, მე უმცროსი ძმაც მყავს, არტემი სამნახევრი წლის არის. ჩვენი ოჯახის წევრები არიან ასევე ორივე ჩემი ბებია, ოლგა და სოფია, და პაპაჩემი სერგეი, ის მოციქულია.

ჩვენ მსოფლიოს ულამაზეს ქალაქში, სანკტ-პეტერბურგში, ვცხოვრობთ. ჩვენს ქალაქს ხშირად რუსეთის ჩრდილოეთ დედაქალაქსაც უწოდებენ. აქ ბევრი არხი და მდინარეა.

მე სპეციალურ სკოლაში დავდივარ. იქ ფსიქიური თავისებურებების მქონე ბავშვები სწავლობენ. მე ძალიან მიყვარს ჩემი სკოლა და ყოველ დილით დიდი სიამოვნებით მივდივარ იქ. ბევრ საგანს გვასწავლიან: რუსულ ენას და ლიტერატურას, მათემატიკას, გეოგრაფიას და კომპიუტერსაც კი. გვაქვს ასევე შრომის გაკვეთილი, ეს ჩემი საყვარელი საგანია. ამ გაკვეთილზე საკერავ მანქანაზე კერვას გვასწავლიან. უკვე კარგად ვისწავლე კერვა და გასულ წელს ღამის პერანგი და წინსაფარი შევკერე. ჩვენს კლასში ბავშვები კარგად ვეწყობით ერთმანეთს. გაკვეთილების შემდეგ საინტერესო ღონისძიებებს ვესწრები რეაბილიტაციის ცენტრში. იქ სპორტით ვარ დაკავებული და წვრილ მოტორიკაში ვვარჯიშობ.



ძალიან მიყვარს ცხოველები, განსაკუთრებით ჩიტები. დიდ სიხარულს მანიჭებს მათი თვალიერება და კვება. ჩვენც გვყავს შინაური ცხოველი, კატა მუსია. უკვე ათი წელია ჩვენთან ცხოვრობს. მუსია წყნარი და მორიდებული კატაა. ყველას გვიყვარს იგი.

ზაფხულობით მთელი ჩვენი ოჯახი სათევზაოდ მივდივართ ხოლმე.

ანდა ველოსიპედებით ვაწყობთ ტურს პავლოვსკის პარკში. გვიყვარს ქალაქის შემოგარენში გასეირნება და პიკნიკის მოწყობა.

ცოტა ხნის წინ განსაკუთრებულ ღვთისმსახურებას დავესწარი: ჩვენს ეკლესიაში პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა იმსახურა. ღვთისმსახურებაზე პირველმოციქულს თან ახლდნენ მოციქულები გერმანიიდან და შვეიცარიიდან. განწყობა ეკლესიაში საზეიმო იყო. გადავიღეთ სამახსოვრო ფოტო: ბებია, პაპა, პირველმოციქული, სამხ. მოციქული ვოლფგანგ ნადოლნი, დედაჩემი და მე.

მე საკვირაო სკოლაშიც დავდივარ და ძალიან მომწონს. ახალი წლის წინ ჩვენ, საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა, მშობლებთან და მღვდელმსახურებთან ერთად ზეიმი მოვაწყვეთ.



წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 02/20; ფოტოები: პირადი, © Grispb - stock.adobe.com, © Tatiana - stock.adobe.com

ფოტო: ოლივერ რიუბენი

მოძღვრება და ცხოვრება - ვიმოქმედოთ წმიდა წერილის პარალელურად

ქადაგება, სასულიერო მზრუნველობა და ხელმძღვანელობა: სამივე ერთ სახელმძღვანელო პრინციპს მიჰყვება. მოციქული ამას მოციქულის სასულიერო თანამდებობის მაგალითზე განმარტავს. თუმცა მარტო ეს სამი პირნციპი არ არის ამაზე ორიენტირებული. რას ამბობს ბიბლია და რას - არა.

ორდინაციის დროს ღმერთი მოციქულს მოციქულის თანამდებობაში ჩადებულ უფლებამოსილებას გადასცემს იმისათვის, რომ მან სამოციქულო დავალების შესრულება შეძლოს. თანამდებობრივი უფლებამოსილება მოციქულებს ადამიანთა ხსნაში თავიანთი წვლილის შეტანის შესაძლებლობას აძლევს, ავალებს რა მათ იესო ქრისტეს სახელით მოქმედებას. როცა ისინი სხვა მღვდელმსახურებს ხელდასხმით აკურთხებენ, თავიანთი უფლებამოსილების თანამონაწილეებად ხდიან მათ.

ვიქადაგოთ ბიბლიის საფუძველზე

სამოციქულო მსახურება სახარების უწყებასაც გულისხმობს (რომ. 1, 1). პირველი მოციქულები იმას იუწყებოდნენ, რაც იესოსგან მოისმინეს და იხილეს (1. იოან. 1, 1). პავლე მკვდრეთით აღმდგარ უფალთან შეხვედრაზე მოწმობდა და ასწავლიდა იმას, რაც მისგან მოისმინა და იხილა (საქმე 22, 14. 15).

დღევანდელ მოციქულთა ქადაგება წმიდა წერილს ეყრდნობა, უპირველესად კი - ახალ აღთქმას. მოსეს რჯულთან შედარებით სახარების უპირატესობისათვის ხაზგასმის მიზნით პავლემ სულს ასო დაუპირისპირა (2. კორ. 3, 6). ამ ბიბლიური მუხლიდან იმ დასკვნის გაკეთება, რომ მოციქულს მისი თანამდებობრივი უფლებამოსილების საფუძველზე საკუთარი თავის წმიდა წერილზე მაღლა დაყენება შეეძლო, სრულიად უადგილო იქნებოდა. მოციქულთა და სხვა დანარჩენ მღვდელმსახურთა ქადაგება ყოველთვის სახარებასთან თანხმობაში უნდა მოდიოდეს!

თანამედროვე მოციქულებს, როგორც „ღვთის საიდუმლოთა მნეებს“, ევალებათ და აქვთ უნარი, განმარტონ ბიბლია სულიწმიდის მეოხებით. სულიწმიდის მიერ წარმართული მოციქულები მკაფიოდ უსვამენ ხაზს ბიბლიის მნიშვნელობას დღევანდელი მორწმუნეებისათვის და უფლებამოსილებით აღჭურვილნი ასწავლიან, თუ როგორ უნდა განხორციელდეს სახარება ცხოვრებაში (მათ. 28, 20).

ბიბლიური ტექსტის აწმყოში გადმოტანით, რათა ის დღევანდელ ეპოქაშიც იქნას გამოყენებული, მოციქულთა ქადაგება ადამიანებს რწმენასა და ღვთისადმი ნდობას უძლიერებს და უღრმავებს ცოდნას (მაგ., ხსნასთან მიმართებაში იმქვეყნად).

განმარტების წესები

ვთვლი, რომ მნიშვნელოვნია შეგახსენოთ ის რამოდენიმე წესი, რომლებიც ბიბლიური ტექსტის განმარტებისას უნდა დავიცვათ:

- იესო ქრისტემ აჩვენა, რომ ძველი აღთქმა მის მოსვლასა და საქმეებზე იუწყება (იოან. 5, 39; ლუკ. 24, 27). მოციქულები ვალდებულნი არიან, ძველი აღთქმა იესო ქრისტესზე, ღვთის ძეზე, დაფუძნებით განმარტონ. ჩვენი რწმენის თვალსაზრისით, ძველი აღთქმის წერილების შინაარსი იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც იგი სახარებასთან თანხმობაში მოდის ისე, როგორც ახალი აღთქმის მოწმობებშია გადმოცემული (ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმო, თავი 1. 2. 5. 2).
- ნებისმიერი ბიბლიური ტექსტი მისი კონტექსტის გათვალისწინებით უნდა იქნას წაკითხული. მისი განმარტებანი ყოველთვის სახარების ძირითადი ფორმულირებების შესატყვისი უნდა იყოს.
- არ შეიძლება, რომ იესოს სასწაულებისა და იგავების ინტერპრეტაცია, რომლებიც მან მოციქულებს გადასცა, ზომიერების ფარგლებს გასცდეს. ლუკ. 17-ში უფალი ორ პიროვნებაზე ლაპარაკობს, რომლებიც ერთსა და იმავე

სიტუაციაში იმყოფებიან, ერთ-ერთ მათგანს მიიღებენ, მეორეს კი - არა. შეუძლებელია აქედან იმათი პროცენტული მაჩვენებელი გამოვიანგარიშოთ, რომლებიც გადარჩებიან. მიბარებულ ვერცხლზე იგავში (ლუკ. 19) ის ფაქტი, რომ ერთი მონა ათი ქალაქის მმართველად იქნა დანიშნული, ხოლო მეორე - ხუთის, არ ნიშნავს იმას, რომ ღვთის მიერ მონიჭებული გამოსყიდვის მასშტაბი ჩვენი შრომის ხარისხზეა დამოკიდებული.

- არ შეიძლება მხედველობიდან გამოგვრჩეს ისიც, რომ ბიბლიის თარგმანები ორიგინალი ტექსტების ინტერპრეტაციას წარმოადგენს. ისეთ მცნებებს, როგორიცაა მაგ., „სასულიერო თანამდებობა“, „მსახურება“ და „ეკლესია“, მთარგმნელი თავისებურად გადმოსცემს - მისი ენისა და თეოლოგიური შეხედულებების მიხედვით. პრინციში, თუ გვინდა, რომ დამაჯერებელ ახსნა-განმარტებამდე მივიდეთ, ყოველთვის უნდა ვითვალისწინებდეთ ტექსტის ორიგინალს.
- სახარებები, მოციქულთა საქმეები და ეპისტოლეები სხვადასხვა დროს არის დაწერილი და იმ თანამედროვე ვითარებას ასახვას, რომელშიც ავტორები იმყოფებოდნენ. ამდენად, თემებისათვის მიწერილი სხვადასხვა ეპისტოლეების შემადგენლობა და სტრუქტურა ხშირად საფუძვლიანად განსხვავდება ერთმანეთისგან. უფრო გვიანდელი ქრისტიანული თემები ბევრი რამით განსხვავდებოდნენ ადრეული ქრისტიანული თემებისგან.
- და ბოლოს, - და ეს უპ. ყოვლისა - მოციქულთა ამოცანაა, იუწყონ და ახსნან ის ბიბლიური გამონათქვამები, რომლებიც გადამწყვეტია ადამიანთა ხსნისათვის. ყველაფერი მნიშვნელოვანია, რაც იესო ქრისტეს რწმენას, მის ცხოვრებას და საქმეებს ეხება. ბიბლიური თემების სხვა თემებთან დაკავშირება გარკვეული ინტერესის საგანი შეიძლება იყოს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მათი სახარების მთავარ გზავნილთან გათანაბრება.

ვიმოწმოთ მხოლოდ იესოზე

სამოციქულო მსახურება კიდევ ერთ ასპექტს მოიცავს: მოციქულები იესო ქრისტეს მოწმეები უნდა იყვნენ. უფალმა უთხრა პავლეს: „ვინაიდან იმისათვის მოგევლინე, რომ დაგადგინო მსახურად და იმის მოწმედ, რაც იხილე და რასაც გამოგიცხადებ“ (საქმე 26, 16).

თანამედროვე მოციქულებიც იმისკენ არიან მოწოდებულნი, რომ იესოს მოწმეები იყვნენ. მოციქულებმა აწმყოში გაკეთებული მათი საქმეების მეშვეობით უნდა ცხადყონ იესო ქრისტეს ნება და ეკლესიისათვის სათანადო დასკვნები გამოიტანონ.

ამასთან დაკავშირებით რამოდენიმე მაგალითი:

- იესო მხოლოდ გამონაკლისის სახით აძლევდა მოციქულებს სასწაულების მოხდენის საშუალებას - ის მათგან, პირველ რიგში, იმას მოელოდა, რომ ისინი ადამიანთა ხსნას მიუძღვნიდნენ თავს.
- ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებულ ბევრ ქვეყანაში ღვთის საქმე საკმაოდ შთამბეჭდავად განვითარდა - ახალსამოციქულო ქრისტიანებს არ მოეთხოვებათ, რომ რწმენისამებრ ცხოვრების მიზნით უარი თქვან თავიანთ კულტურაზე და იმათ ცხოვრების სტილს მიესადაგონ, ვისთანაც მოწმობა მიაქვთ.
- იესო ქრისტემ გარკვევით თქვა, რომ მისი მეორედ მოსვლის დროს და ჟამს ვერცერთი ადამიანი ვერ განსაზღვრავს. ვისაც ქრისტეს მეორედ მოსვლის დროის რაღაცნაირად დადგენა სურს, ის იმედგაცრუებული დარჩება უფლისგან - მოციქულების ამოცანას ქრისტეს მეორედ მოსვლის თარიღის განსაზღვრა კი არ წარმოადგენს, არამედ მისი მეორედ მოსვლის იმედის ცოცხლად შენახვა.
- მოლოდინის მიუხედავად სულით აღბეჭდილთა რიცხვი მსოფლიოს ყველა კუთხეში საგულისხმოდ (ექსპონენტურად) გაიზარდა - უფლის მეორედ მოსვლა ახალსამოციქულო ეკლესიის იმ წევრთა რაოდენობაზე არ არის დამოკიდებული, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებში ცხოვრობენ.

მართვა ქრისტეს სულისამებრ

თავისთავად ცხადია, ეკლესიას მართვისა და ადმინისტრირების ფუნქციები სჭირდება. ამ

ფოტო: ოლივერ რიუტენი

საპასუხისმგებლო სფეროებში მუშაობა სპეციალურ უნარებსადაცოდნასმოითხოვს,მაგ.,ორგანიზაციისა და მენეჯმენტის სფეროში. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ფუნქციები მღვდელმსახურებს ეკისრებათ, ისინი არ არიან პირდაპირ კავშირში მათი სასულიერო თანამდებობის უფლებამოსილებასთან. ცხადია, როცა ორგანიზაციულ და ფინანსურ გადაწყვეტილებებს იღებენ, პირველმოციქული და სამხ. მოციქულები არ მოქმედებენ იესო ქრისტეს სახელითა და უფლებამოსილებით ... საბოლოო ჯამში, ნებისმიერმა ხელმძღვანელმა, ეკლესიის ყველა დონეზე, ქრისტეს სულისამებრ უნდა იმოქმედოს და ისე მიიღოს გადაწყვეტილება!

ღმერთი ეკლესიას ყველა იმ ნიჭით აღჭურვავს, რაც მსახურებისათვის არის საჭირო. უმეტეს შემთხვევაში იგი ცალკეულ პიროვნებებს ანიჭებს მათ. მაგრამ ისეც ხდება, რომ ამ ნიჭების გამოვლენა მხოლოდ კოლეგიალობის ფარგლებშია შესაძლებელი. დღევანდელ დღეს იმდენად მრავალმხრივი და კომპლექსურია გამოწვევები, რომ ეკლესიის ვერცერთი პასუხისმგებელი პირი ვერ შეძლებს, მართოს როგორც აბსოლუტურმა მონარქმა!

სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც მოძღვრებასთან კავშირში არ არიან

კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ პავლე მოციქულს. ის სხვადასხვა ფუნქციებს ასრულებდა ეკლესიაში. როგორც მოციქული, იგი ახარებდა სახარებას და ქრისტეზე მოწმობდა. მაგრამ ის იმ თემებსაც ხელმძღვანელობდა, რომლებზეც პასუხისმგებელი იყო, და იმ გარემოსაც ითვალისწინებდა, რომელშიც ცხოვრობდა. მისი ეპიტოლეები ქრისტეში ხსნასთან დაკავშირებულ სავალდებულო გამონათქვემებს შეიცავს, რომლებიც მოციქულთა სასულიერო თანამდებობის უფლებამოსილებას ეფუძნება.

მაგრამ მათში ის სახელმძღვანელო პრინციპებიც გვხვდება, რომლებიც თემის წარმართვისათვის იყო საჭირო და, რომლებიც არსებულ მოძღვრებას არ გენეკუთვნებოდა. ისინი იმჟამინდელი ცხოვრებისეული პირობების უშუალო შედეგებს წარმოადგენენ და მხოლოდ მათთან კავშირში აღიქმება რეალურად. ასე მაგ., კორინთოში ქალები ჩუმად უნდა ყოფილიყვნენ, მათ ლაპარაკის უფლება არ ჰქონდათ (1. კორ. 14, 34), ასევე ეკრძალებოდათ სწავლება (1. ტიმ. 2, 12) - კესარიაში, პირიქით, ქალებს წინასწარმეტყველების უფლება ჰქონდათ (საქმე 21, 9). ანდა ავიღოთ თუნდაც მათ ვარცხნილობასთან და ჩაცმულობასთან დაკავშირებული ვალდებულებები (1. ტიმ. 2, 9).

მომზადება სულზე ზრუნვის განსახორციელებლად

ბოლოს მოკლედ მინდა შევჩერდე ბიბლიის გამოყენებაზე სასულიერო ვიზიტის დროს ოჯახში. ბევრ ადგილას მიღებულია, რომ სასულიერო ძმებს ბიბლიის „ალალბედზე“ გადაშლას სთხოვენ, რათა მან მოცემული მონაკვეთი წაიკითხოს და კომენტარი გააკეთოს. ეს ტრადიცია პატივისცემას იმსახურებს, მაგრამ გარკვეულ რისკსაც შეიცავს.

ვიცით, რომ ბიბლიური ტექსტი ყოველთვის კონტექსტის გათვალისწინებით უნდა იქნას განმარტებული. მაგრამ ეს თითქმის შეუძლებელია, როცა საქმე სპონტანურად არჩეულ ბიბლიურ სიტყვას ეხება. ასე სიტყვა არასწორად შეიძლება იქნას განმარტებული. ისეც ხდება, რომ და-ძმანი სასულიერო ძმის მიერ წაკითხულ სიტყვას წინასწარმეტყველებად ან ღვთიურ აღთქმად განიხილავენ. მათ სჯერათ, რომ ღმერთი შეიწყნარებს მათ სურვილებს და კონკრეტულად იმოქმედებს. არც თუ ისე იშვიათად ამგვარი იმედები ცრუვდება ხოლმე.

გავითვალისწინოთ, რომ სასულიერო ძმის მოვალეობაში არ შედის, განუცხადოს და-ძმებს მათი მომავლი! წარიმართებიან რა სულიწმიდით, მათ და-ძმების ღვთისადმი რწმენასა და ნდობაში განმტკიცება ევალებათ.

განა უკეთესი არ იქნება, რომ მღვდელმსახური წინასწარ მოემზადოს ამგვარი ვიზიტისთვის და სთხოვოს ღმერთს, შთააგონოს ის ბიბლიური სიტყვა, რომელიც სასულიერო მზრუნველობისას ორიენტირად გამოადგება?! გასაგებია, რომ ამ სიტყვით მან ქადაგება არ უნდა ჩაატაროს, არამედ მხოლოდ აზრთა-გაცვლა გამოცვლა მოახდინოს და-ძმებთან მის საფუძველზე.

სატიტულო ფურცელი
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდშტრასე 243, 8051 ციურიხი / შვეიცარია
შპს ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 ნოი-იზენბურგი / გერმანია
რედაქტორი: პეტერ იოჰანინგი

პირველმოციქული: გაბედულებაა საჭირო და საქმე გაგრძელდება

2020 წლის მარტი: გადაადგილების შეზღუდვა საფრანგეთში: პირველმოციქული ჟან-ლუკ შნაიდერიც სახლშია გამოკეტილი და რამოდენიმე კვირაა წმიდა ზიარების გარეშეა დარჩენილი. თუმცა სულით არ ეცემა: „ვიცი, რომ სწორედ მძიმე სიტუაციაში არ მიატოვებს ღმერთი თავის შვილებს.“

„ძალიან სერიოზულად ვუყურებ ამ კრიზისს“, თქვა ეკლესიის ხელმძღვანელმა ინტერვიუში, რომელიც ოფიციალურმა საინფორმაციო ორგანომ „nak.org“-მა გამოაქვეყნა. „სამწუხაროდ, მსხვერპლი კიდევ იქნება. ჩვენ თანავუგრძნობთ დაზარალებულებს და ვლოცულობთ მათთვის!“ ოფიციალური შეზღუდვების გამო ბევრი დაგეგმილი ვიზიტის გაუქმება მოუწია მას. „ამ წუთში არავინ იცის, თუ როგორ განვითარდება სიტუაცია შემდგომში. მეც, როგორც ყველა, ვერგები შექმნილ მდგომარეობას.“ „დარჩით სახლში და სასიკეთოდ გამოიყენეთ შექმნილი სიტუაცია“, ურჩევს პირველმოციქული ერთმორწმუნე და-ძმებს. ის მადლობას უხდის ყველას, ვინც ძალ-ღონეს არ იშურებს და მხარში უდგას თანამოძმეებს. „აშკარად გამოჩნდა, თუ რამდენი ადამიანია მზად, დაეხმაროს სხვებს შექმნილ სიტუაციაში.“

გავაცნობიეროთ, თუ რა არის ნამდვილად მნიშვნელოვანი

„ვიცი, რომ ამ პანდემიის ბოლომდე ბევრი ერთმორწმუნე და-ძმა ვერ მიიღებს წმიდა ზიარებას“, აღნიშნა ეკლესიის ხელმძღვანელმა. „თანავუგრძნობ მათ.“ მაგრამ არ არსებობს სხვა არანაირი საშუალება, რომ „მორწმუნეთა ერთობაში ზიარების სრულყოფილად ჩატარების სხვა გზით ჩანაცვლება მოხდეს“, უთხრა მან ეკლესიის წარმომადგენელ პეტერ იოჰანინგს ინტერვიუში.

ფოტო: ოლივერ როუტენი

კერძოდ, სხვადასხვა მიდგომა იქნა განხილული - მაგ., წინასწარ ნაკურთხი სეფისკვერების გაგზავნა ან ზიარების მღვდელმსახურთა მიერ მიღება ჩანაცვლების გზით, როგორც ეს განსვენებულთათვის ღვთისმსახურებაზე ხდება. თუმცა: „ვიღებთ რა ღირსეულად სეფისკვერს, რომელსაც სამღვდელო პირი აკურთხებს და აწვდის მორწმუნეს, ამით ქრისტეს ხორცსა და სისხლს ვეზიარებით“ - ამასთან დაკავშირებით პირველმოციქულმა მეშვიდე სარწმუნოებრივ დებულებაზე გაამახვილა ყურადღება.

„არ ვიცით, რატომ დაუშვა ღმერთმა ასეთი სიტუაცია, თქვა პირველმოციქულმა. „მაგრამ დარწმუნებული ვარ, სულიერი გაჭირვების ეს პერიოდი ხელს შეუწყობს იმას, რომ სულ უფრო მეტად გავაცნობიეროთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენთვის ღვთისმსახურება, მღვდელმსახური და წმიდა ზიარება!“

ვისწავლოთ ერთმორწმუნე და-ძმებისგან

„სწორედ ამ დღეებში შეგვიძლია ჩვენი და-ძმებისგან ვისწავლოთ, რომლებმაც დიდი ტანჯვა გადაიტანეს“ და გაიხსენა ინდონეზიის მიწისძვრის მსხვერპლნი, რომლებმაც ვერ შეძლეს თავის დაცვა, ასევე აფრიკელი ლტოლვილები, რომლებსაც წლების განმავლობაში აკრძალული ჰქონდათ ქვეყნიდან გასვლა, კონგოს ომის მსხვერპლნი, რომლებმაც ერთ ღამეში ყველაფერი დაკარგეს და დასავლეთ აფრიკელი ქრისტიანები, რომლებიც მხოლოდ იმიტომ დახოცეს, რომ ღვთისმსახურებაში მიიღეს მონაწილეობა.

პირველმოციქულს ამით კორონა-ვირუსით გამოწვეული კრიზისის დაკნინება კი არ სურს, არამედ „პირიქით“, აქ ლაპარაკია იმაზე, რომ ამ და-ძმებისგან ვისწავლოთ: „ყველა ამ განსაცდელის მიუხედავად როგორ შეძლეს მათ სიმტკიცის შენარჩუნება? იმით, რომ ისინი ქრისტეში არიან ფესვგადგმულნი. მათი საიდუმლო უფლის სიყვარულში მდგომარეობს!“ გაკვეთილი, რომელიც მან აქედან მიიღო ასეთია: „ახლა მთავარია ქრისტესთან ურთიერთობა შევინარჩუნოთ!“

შევინარჩუნოთ სიყვარული და ნდობა

„მოდით, სწორედ ამ გასაჭირის დროს მივენდოთ ღმერთს“, მოუწოდა ეკლესიის ხელმძღვანელმა. „მივენდოთ ღმერთს - მან ყოველთვის იცის, თუ რა უნდა მისცეს მის მოყვარულთ ისეთი, რაც მათი ხსნისათვის არის აუცილებელი!“

და: „მოდით, მტკიცედ ვიდგეთ ღვთის სიყვარულში. მის მოყვარულებს უფალი ყოველთვის განსაკუთრებულ დახმარებას აღმოუჩენს. ეს ღვთიური აღთქმა ისევ ძალაშია: ვისაც ღმერთი უყვარს, ყველაფერი - კორონა-ვირუსით გამოწვეული კრიზისიც კი - მათ ხსნას ემსახურება.“

„გაბედულებაა საჭირო“, აღნიშნა პირველმოციქულმა შნაიდერმა, და „საქმე გაგრძელდება.“

ღვთისმსახურებანი კორონა-ვირუსის მიუხედავად

თუ მორწმუნე ვერ მიდის ღვთისმსახურებაზე, ღვთისმსახურება მიდის მასთან. ასე ზრუნავს ახალსამოციქულო ეკლესია თავის წევრებზე კორონა-ვირუსით გამოწვეული კრიზისის დროს. თუმცა ამის შესაძლებლობანი მსოფლიო მასშტაბით სხვადასხვაგვარია. ამის მიზეზი ძირითადად სახელმწიფოს მხრიდან მრავალრიცხოვანი შეკრებების აკრძალვა, მაგრამ ასევე ნებაყოფლობით მიღებული სიფრთხილის ზომებია. და ყველგან ლაპარაკია იმაზე, რომ ადამიანთა დაცვის მიზნით პირადი კონტაქტები შემცირდეს. კორონა-პანდემიის შენელება და სამედიცინო მომსახურების გადატვირთის შემცირება ასე უნდა მოხდეს.

ოთხმა გერმანულმა სამხ. ეკლესიამ საკუთარი არხები შექმნა YouTube-ზე, რათა გაეფართოებინა თავისი რესურსები ღვთისმსახურებების ტრანსლიაციისთვის. სამხრეთ აფრიკას საკუთარი საგადაცემო პორტალი (Streaming-Portal) გააჩნია. სამხრეთ აფრიკა თავის ტელეარხ „NAC TV“-აც იყენებს, რომელიც ოთხშაბათის ღვთისმსახურებებსაც სთავაზობს მსმენელებს. ამ პრობლემის წინა ხაზზე იმყოფებიან ჩრდილო ამერიკელები, რომლებსაც უკვე აქვთ ღვთისმსახურების ამგვარი მაუწყებლობის გამოცდილება. მაგ, კანდა და აშშ არა მხოლოდ შერჩევით მაუწყებლობენ, არამედ აქვთ ასევე ჩანაწერების დიდი რაოდენობა, რომლებიც მთელი კვირის განმავლობაშია ხელმისაწვდომი.

სულ სხვა გზა აირჩია კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხ. ეკლესიამ სამხრეთ-აღმოსავლეთით. აქაც საკუთარი არხი შექმნეს YouTube-ზე. თუმცა 1, 8 მილიონი ერთმორწმუნე და-ძმების დიდ ნაწილს საერთოდ არა აქვს ინტერნეტი ან ინტერნეტთან წვდომა აქვს შეზრუდული. კანონით დადგენილი მოთხოვნების ფარგლებში მღვდელმსახურები სახლიდან სახლში დადიან, ატარებენ მოკლე პარაკლისს და აღნიშნავენ წმიდა ზიარებას. ვინაიდან თემი საკმაოდ დიდია, ისინი არა მხოლოდ კვირაობით, არამედ მთელი კვირის განმავლობაში არიან გზაში, წერს სამხ. მოციქული ჩიში ჩისეკედი. დასახმარებლად მან ზოგიერთი პენსიაში მყოფი მღვდელმსახურიც გააქტიურა.

New Apostolic Church
International